

არტანუჯი XVI ს-ის მეორე ნახევარში

1550 წელს ოსმალებმა ორჯერ ილაშქრეს ქართულ ტერიტორიებზე. პირველ ლაშქრობას თვით არზრუმის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა (1549-1550 წწ.) ედგა სათავეში. ამ ლაშქრობით მათ ხელში ჩაიგდეს მამირვანი და ტაოსკარი ოთხი ციხით. მეორე ლაშქრობას ტრაპიზონის სანჯაყბეგი მუსტაფა ფაშა ხელმძღვანელობდა და იგი გონიოს ლაშქრობის სახელით არის ცნობილი. ამ ლაშქრობის დროს ოსმალებმა მაჭახელი დაიპყრეს, ხოლო 1551 წელს არტანუჯის დაპყრობის შემდეგ ლივანას დარჩენილი ქართველი თავადებიც იძულებულნი გახდნენ ელიარებიანთ ოსმალთა ხელისუფლება.

1551 წელს ისკენდერ ფაშამ (1550-1553 წწ.) ილაშქრა საქართველოში და დაიპყრო არტანუჯის ციხე, არტაანი, ფარნაკი (ფანაკი) და არსიანის მთამდე ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიას შეუერთა.

სტამბოლის თოფქაფი-სარაის მუზეუმში დაცულ მუჭიმე (მნიშვნელოვანი მოვლენების) დავთარში გვხვდება 1552-1553 წწ. დათარიღებული ცნობა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ირანული ორიენტაციის ქართველმა თავადებმა, ლუარსაბმა და ქაიხოსრომ (მათი ვინაობა უცნობია, თუმცა ვფიქრობთ, რომ ესენი ქართლის მეფე ლუარსაბი და ათაბაგი ქაიხოსრო უნდა იყვნენ – ზ. შ.) 1552 წლის ივნისში ოსმალეთის კუთვნილი რამდენიმე ციხესიმაგრე დაიკავეს, თავს დაესხნენ არტაანს და გაიტაცეს [იქიდან] ხალხი. ისკენდერ ფაშამ მომხრე ირანულ ძალებთან ერთად დაამარცხა ისინი. ამის შემდეგ შავშეთის, ლივანას (ართვინის – ზ. შ.) და აჭარის ქართველი თავადები იძულებულნი გახდნენ ოსმალთა მმართველობა ელიარებიანთ.

როგორც ვხედავთ, ოსმალთა შემოსევებმა უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო, რაც უფრო და უფრო ართულებდა საათაბაგოს შინაგან მდგომარეობას. ჯავახეთის გავლენიანი თავადები აძლიერებდნენ წინააღმდეგობას ათაბაგისადმი.

ქართლის მეფე ლუარსაბიც ნათლად ხედავდა, რომ ოსმალების მიერ საათაბაგოს დაპყრობით უშუალო საფრთხე ექმნებოდა საკუთრივ მის სამეფოსაც. ამიტომაც გადაწყვიტა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობა და ამით ოსმალთათვის ქართლში შემოსასვლელი გზის გადაკეტვა. ათაბაგის მოწინააღმდეგე მესხი ფეოდალების დახმარებით ლუარსაბმა ჯავახეთი და სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი დაიკავა.

სამცხე-საათაბაგოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია ათაბაგს იძულებულს ხდიდა, მოქნილი დიპლომატია გაეტარებინა. ქაიხოსროს კარგად ესმოდა, რომ სამცხეში ოსმალთა გაბატონება არც ირანისათვის იქნებოდა სასურველი. ამასთანავე მას სურდა ლუარსაბის პოზიციის შესუსტება, რომელიც კარგ დამოკიდებულებაში იყო შაჰთან; ხოლო ჯავახეთის ფეოდალების მომხრობა გააძლიერებდა ლუარსაბის გავლენას, რაც აგრეთვე მიუღებელი იყო შაჰისათვის. ათაბაგი ამ მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდა და შაჰს დახმარება სთხოვა.

ირანის შაჰმა ლაშქარი გამოაგზავნა საქართველოში. ყიზილბაშებმა ამოჟლიტეს ათაბაგისაგან განდგომილი ფეოდალები და ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბი და კიდევ რამდენიმე ციხესიმაგრე კვლავ ქაიხოსროს დაუბრუნეს. ამის შემდგომ ირანელებმა ქართლი დაარბიეს და უკან გაბრუნდნენ.

მაღე ოსმალთა ლაშქარი გამოემართა სამცხე-საათაბაგოსაკენ ირანის მხარეზე გადასულ მოღალატე ათაბაგის დასასჯელად. სამცხის ფეოდალები კვლავ განუდგნენ ათაბაგს და ოსმალთა მხარეზე იწყეს გადასვლა.

1554 წელს ირანელთა ლაშქარი კვლავ შემოესია სამცხეს, მაგრამ ოსმალთაგან იქნა განდევნილი.

1555 წელს ამასიაში დადებული ზავით დროებით შეწყდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ზავის პირობებით ირანმა სცნო ოსმალეთის უფლებები დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა ირანის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე. მესხეთი გავლენის სფეროებად გადანაწილდა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ არცერთ მათგანს არ სურდა, მიეცა მოწინააღმდეგისათვის საშუალება ფეხი მოეკიდებინა აქ. სამცხის დაპყრობას ოსმალეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმდენად, რამდენადაც აქედან მას გზა ეხსნებოდა ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში შესაჭრელად.

ამასიის ზავის პირობებით ბასიანი, არტაანი, არტანუჯი და ლივანა ოსმალეთის გავლენის ქვეშ დარჩა, ხოლო სამცხე – ირანის გავლენაში მოექცა. თურქი ისტორიკოსი ფ. კირზიოღლუ, როდესაც საუბრობს ამასიის ზავზე, აჭარასა და შავშეთს ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორიებად მოიხსენებს.

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნის 60-იან წლებში დამთავრდა ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების ინკორპორაციის პირველი ეტაპი. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული მოვლენების შესახებ ქართული წყაროები საკმარის ინფორმაციას არ გვაწვდიან, ხოლო ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე ცნობილი თურქული საისტორიო მასალაც არ არის საკმარისი სრული სურათის მისაღებად. დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტერიტორია ოსმალებმა უფრო მოგვიანებით (XVII ს-ის პირველი ნახევარი) დაიპყრეს, ვიდრე სამცხე და ჯავახეთი. თუმცა, ბოლო დროს თურქეთის წიგნთსაცავებსა და არქივებში მოპოვებული მასალით და თურქ ისტორიკოსთა გამოკვლევებითაც ჩანს, რომ 1578 წლამდე, ანუ ლალა მუსტაფა ფაშას „აღმოსავლეთის ლაშქრობამდე“, ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ არტაანი, აჭარა, შავშეთ-მაჭახელი, ნიგალი, კლარჯეთი და ტაონი (ამიერ და იმიერ ტაო).

თურქ ისტორიკოსს დინდარ აიდინს მონოგრაფიაში, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოსაც წარმოადგენს 1535-1566 წლები, არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ქართული სანჯაყები (სადროშოები): ისფირი (სპერი), ფასინი (ბასიანი), მამერვანი, აქჩაკალე, ოლთუ (ოლთისი), ბათუმი, თორთომი, ფერთექრეჯი, ტაოსკარი, ქემხისი, ფანასკერტი, არტანუჯი, ლივანა, არტაანი, ქურთქალე (მგელციხე), შავშეთი, მცირე არტაანი, აჭარა, მაჭახელი და ფოთი.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ოსმალებმა აღნიშნულ ტერიტორიებზე მოკლე ხანში მოიკიდეს ფეხი. მათი დამკვიდრება აქ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. ამას მოჰყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება, ანტიოსმალური გამოსვლები, ზოგიერთი ტერიტორიის გათავისუფლება მტრისგან. თუნდაც იგივე მგელციხის მაგალითი, რომლის აღებაც შემდგომში ლალა მუსტაფა ფაშას მეორედ მოუხდა. შესასწავლია ფოთის საკითხიც, რომელიც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ნომინალურად მოიხსენიება ოსმალეთის სანჯაყად. როგორც ვიცით, ფოთში ციხე შემდგომში 1579 წელს ლალა მუსტაფა ფაშას ბრძანებით ადმირალმა

კლიჩ ალი ფაშამ ააშენა. მსგავს საკითხებთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად აღნიშნავს მ. სვანიძე, რომ “ოსმალეთის მიერ შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულები ყოველთვის როდი შეესაბამებოდა რეალურ სინამდვილეს და იგი ხშირად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ფაქტიურად ოსმალთა ბატონობა ამიერკავკასიაში ციხე-სიმაგრეებით შემოიფარგლებოდა”. მაგრამ, ამასთანავე ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ჩამოთვლილი ტერიტორიები თითქმის მთლიანად ბევრად უფრო ადრე იქნა დაპყრობილი, ვიდრე ეს ცნობილია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ამას მოწმობს მრავალი დოკუმენტური მასალა (აღწერის დავთრების, ფირმანების, ბერათების თუ სხვათა სახით), რომელიც თურქეთის არქივებშია დაცული.

სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაციის შემდგომი ეტაპი იყო 1578-1579 წლები, როდესაც ოსმალეთსა და ირანს შორის ახალი ომი დაიწყო და ოსმალთა ლაშქარმა ლალა მუსტაფა ფაშას სარდლობით საქართველო და მთელი კავკასია დაიპყრო. მიუხედავად იმისა რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და დანარჩენ კავკასიაში ოსმალთა ბატონობა „მხოლოდ ციხე-სიმაგრეებით შემოიფარგლებოდა”, 1579 წელს სულთანმა დააარსა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო, რომელშიც თავდაპირველად ახალდაპყრობილი სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიები, ხოლო მოგვიანებით – XVII საუკუნის დასაწყისში, მორიგი ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად თითქმის ყველა ქართული პროვინცია იქნა გაერთიანებული. მის უკიდურეს დასავლეთით აჭარის სანჯაყი მდებარეობდა, რადგან იმავე რეფორმით ბათუმის სანჯაყი ცალკე საბეგლარბეგოში შედიოდა, რომლის ცენტრიც მონაცვლეობით ბათუმი, ან ტრაპიზონი იყო.

ისტრიული კლარჯეთის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგელობაში ძირითადად ორ სანჯაყში გაერთიანდა. ესენია არტანუჯისა და ლივანას სანჯაყები. ლივანა XVI ს-ის ოსმალურ წყაროებში მოიცავს დღევანდელი ართვინისა და იუსუფელის მიმდებარე ტერიტორიებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1551 წლის 13 ივნისს არზრუმის ბეგლარბეგის ჩერქეზ ისკენდერ ფაშას (1550-1553 წწ.) ლაშქრობის დროს. 22 დღიანი ალყის შემდეგ არტანუჯის ციხე ოსმალებმა დაიპყრეს. კვალდაკვალ არტანანი, ფარნაკი (ფანაკი) და არსიანის მთამდე ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიას შეუერთა.

საგულისხმოა, რომ დაპყრობისთანავე არტანუჯი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა, თუმცა, ყველაზე ადრეული დოკუმენტი, სადაც არტანუჯი სანჯაყად არის მოხსენებული 1553 წლის 27 დეკემბრით თარიღდება. ამავე წლის 11 ივლისის დოკუმენტი კი არტანუჯის ციხეში ოსმალთა ჯარის მფლობელობაში ყოფნას გვამცნობს. 1554 წელს არტანუჯის სანჯაყბეგად ვინმე სინან ბეგი გვევლინება, ხოლო 1555 წელს მეჰმედ ბეგი. 1558 წელს ეს თანამდებობა ჰასან ბეგს უჭირავს. სანჯაყბეგების ასეთი ხშირი ცვლა და არტანუჯის სანჯაყის აღწერა საგადასახადო მიზნით ცხადყოფს, რომ იგი იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით არ გაიცემოდა.

1555 წლის ოსმალეთ-სპარსეთს შორის დადებული ამასიის ზავის პირობებით ზასიანი, არტანანი და არტანუჯი ოსმალეთის გავლენის ქვეშ გადავიდა, ხოლო სამცხე ირანს დარჩა.

თავდაპირველად არტანუჯი არზრუმის ვილაეთში იყო გაერთიანებული. 1573-74 წლებით დათარიღებულ „გურჯისტანის ვილაეთის ვრცელ დავთარში” არტანუჯი ოლთისის და არტანის გვერდით ცალკე ლივად არის რეგისტრირებული. არტანუჯის ხეობა მთლიანად ერთ, არტანუჯის ნაჰიეშია მოქცეული და მასში 58 სოფელია გაერთიანებული. ხსენებულ ლივაში შედიან აგრეთვე შედარებით მცირე ტაოსკარის, ქემხისის და იშხნის ნაჰიეები მათი სოფლებით.

მსგავსი ადმინისტრაციული მოწყობის ფორმით გვხვდება არტანუჯის ლივა სულთან მურად III-ის პერიოდის აღწერაშიც.

1609 წლის აინი ალის რისალეში, არტანუჯი ჩილდირის, იგივე ახალციხის ვილაეთის შემადგენლობაშია.

რაც შეეხება ლივანას სანჯაყს, 1552 წლის 12 აგვისტოს ფერთექრეჯის სანჯაყი ვინმე ბეჯა ბეგს გადაეცა. ხოლო ლივანას სანჯაყის მფლობელი მისი ძმა გახდა. ორივე სანჯაყს ძმები ოჯაქლიქის წესით ფლობდნენ. 1553 წლის 27 დეკემბრით დათარიღებული ცნობის მიხედვით, ხსენებული ძმები დედაქალაქში ჩასულან, სულთნისთვის მორჩილება გამოუცხადებიათ და აღნიშნული სანჯაყები მიუღიათ. როგორც საზღვრისპირა სანჯაყები სულთანმა ისინი ოჯაქლიქის წესით გადასცა. საინტერესოა, რომ ამ პროცესების მიუხედავად ძმებს რჯული არ შეუცვლიათ და ისლამი არ მიუღიათ, როგორც წესისამებრ ხდებოდა ხოლმე. თავდაპირველად, სხვა ქართველი თავადებისაგან განსხვავებით ისინი გარკვეულწილად დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებდნენ კიდევ. საბოლოოდ, ფერთექრეჯის სანჯაყი მფლობელობაში გამუსლიმებულ სეფერ ბეგს გადაეცა. ამის შემდგომ, არც ისე დიდი ხნის მერე, ლივანას სანჯაყის მმართველმაც ისლამი აღიარა, მეჰმედი დაირქვა და ბერათით და 600 000 ახჩით მიიღო სანჯაყი.

როგორც ჩანს, ძმებს შორის ადრე არსებული შუღლი მათი გამუსლიმების შემდეგაც გაგრძელდა. ამის გამო 1560 წელს არზრუმის თიმარების დეფთერდარ მუსტაფას ფერთექრეჯისა და ლივანეს სანჯაყების ცალ-ცალკე აღწერა ებრძანა.

უფრო მოგვიანებით, ისევ მეჰმედ ბეგსა და სეფერ ბეგს შორის დამაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, ლივანას სამთავრო 1562 წლის 13 ნოემბერს სეფერ ბეგს გადაეცა.

როგორც სხვა დაპყრობილ ტერიტორიებზე, ოსმალებმა კლარჯეთშიც დაპყრობისთანავე საკუთარი მმართველობის წესების დანერგვა დაიწყეს, რაც ახალი ადმინისტრაციული მოწყობის, მიწათმფლობელობის წესების და საგადასახადო სისტემის შემოღებაში გამოიხატებოდა.

როგორც ვთქვით, კლარჯეთის ტერიტორია თავიდან ლივანას, არტანუჯისა და ფერთექრეჯის სანჯაყებში გადანაწილდა. იმპერიაში ხშირად ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმების გამო ადმინისტრაციული ერთეულებიც და საზღვრებიც ხშირად იცვლებოდა. ლივანა და ფერთექრეჯი დროდადრო ერთ სანჯაყად გვევლინება. აღნიშნულ სანჯაყები თავდაპირველად არზრუმის საბეგლარბეგოში იყო გაერთიანებული. მოგვიანებით ისინი გურჯისტანის ვილაეთს დაექვემდებარა. უფრო გვიან კი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში ვხვდებით. მისი გარკვეული ტერიტორია ერთხანს ბათუმის სანჯაყშიც შედიოდა.

რაც შეეხება მიწისმფლობელობის სისტემას, ლენებად დანაწილებული მიწები სამხედრო ვალდებულების პირობით გადაეცემოდა მათ მფლობელებს. მიწები შემოსავლების მიხედვით სამ კატეგორიად – თიმარებად (19999 ახჩამდე), ზემეთებად (20-და 100 ათას ახჩამდე) და ხასებად (100 ათასი და მაღლა) იყოფოდა.

რაც შეეხება საგადასახადო სისტემას, ის მთლიანად გათვლილი იყო ადგილობრივი რესურსების ამოღებაზე.

აღნიშნულ მმართველობის წესებს და სოციალური ურთიერთობების ფორმებს კონკრეტულ რეგიონებზე მორგებული კანონთა წიგნები, ე.წ. კანუნ-ნამეები არეგულირებდნენ. ქართული პროვინციებისათვის ოსმალეთის იმპერიაში რამდენიმე კანუნ-ნამეა შედგენილი. ისინი შინაარსით, შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთის ანალოგიურია. ერთ-ერთ პირველია 1573/4 წლის

(ჰიჯრით – 981) გურჯისტანის კანუნ-ნამე, რომელიც ამავე თარიღში შედგენილ „გურჯისტანის ვილაეთის ვრცელ დავთარს“ ერთვის თავში. კანუნ-ნამეები, როგორც საკუთრივ ოსმალეთის იმპერიის ცალკეული ვილაეთებისათვის, ისე დაპყრობილი ქვეყნებისთვისაც, ძირითადად ერთგვარ პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოსავალი ამ კანუნ-ნამეებისა არის, რაც შეიძლება მეტი გადასახადებით დაბეგვრა მწარმოებელი მოსახლეობისა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ობიექტებზე, რომლებზეც შეიძლება გადასახადების გაწერა. გადასახადების გარდა დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ბაჟების ნიხრი. ასევე დაწვრილებითაა ჩამოთვლილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულობანი, თურქული მიწათსარგებლობის ფორმები და სხვ. შეტანილი იყო აგრეთვე მუხლები, რომლებიც არეგულირებდა სოციალურ ურთიერთობებს.

ქართულ პროვინციებში ოსმალთა დამკვიდრების და ადგილზე მიმდინარე პროცესების შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელ დოკუმენტურ წყაროებს წარმოადგენს საგადასახადო მიზნით შედგენილი აღწერის დავთრები. ისინი მდიდარ და მრავალმხრივ საინტერესო მასალას შეიცავენ ოსმალეთის იმპერიაში შემავალი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ურთიერთობისა და მრავალი სხვა არაერთი საკითხის შესასწავლად. მათში დაცული ცნობები სანდოა, რადგან დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ თითოეული მონაცემის ზუსტად შემოწმებისა და შეჯერების შედეგად.

ამ დოკუმენტთა რიცხვს ეკუთვნის არტანუჯის ლივის ორი აღწერა - 1574 წელსა და უფრო მოგვიანებით სულთან მურად III-ის (1574-1595 წწ.) დროს. ისინი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია XVI ს-ის კლარჯეთის ისტორიისათვის.

1574 წლის დავთარი მოიცავს როგორც ტაოს ისე კლარჯეთის ტერიტორიებს - ოლთისს, ანზავს, თორთუმს და მიმდებარე მხარეს. აღწერილია აგრეთვე ფერთექრეჯის ნაპიე, რომელიც მოიცავს ჭოროხისპირა სოფლებს ერკინისის ჩათვლით. სავარაუდოა, რომ აქ გადიოდა საზღვარი ფერთექრეჯსა და ლივანას შორის. ეს უკანასკნელი აღნიშნულ დავთარში აღწერილი არ არის. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ლივანა ოჯაქლიქის. წესით იყო გაცემული მფლობელობაში. აღნიშნული წესით პერიოდულად ფერთექრეჯიც გაიცემოდა. წესისამებრ, ამ ფორმით გაცემული სანჯაყები არ აღიწერებოდა, რადგან აკრეფილი გადასახადების დიდი ნაწილი ადგილზე რჩებოდა და ცენტრალურ ხაზინაში არ იგზავნებოდა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა არტანუჯის სანჯაყის აღწერა, რომელიც ცალკე ნაწილად არის მოცემული დოკუმენტში. ეს ნაწილი არტანუჯის ლივის სახით ზუსტად იმ ტერიტორიას მოიცავს, რომელსაც მურად III-ის დროინდელი არტანუჯის ლივის ცალკე აღწერის დავთარი.

მეორე დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა პირველ ფურცელზე დასმული სულთან მურად III-ის თულრა (სულთნის ბეჭედი, მონოგრამა, სადაც სულთნის ვინაობაა მოცემული) ცხადყოფს მისი შედგენის ქრონოლოგიურ ჩარჩოს. ცხადია, რომ დავთარი მისი მმართველობის პერიოდში, ანუ 1574-1595 წლების შუალედშია შედგენილი.

დავთრები, როგორც წესი, სტრუქტურულად ანალოგიურია. როგორც უკვე ითქვა, ორივე მოიცავს ერთი და იგივე სოფლებსა და ტერიტორიას. განსხვავება მხოლოდ დროშია და მათში დაცული ინფორმაციის შედარებითი ანალიზი ბევრ სიახლეს გვაძლევს და ნათლად წარმოგვიდგენს აღნიშნულ პერიოდში რეგიონში მიმდინარე პროცესებს.

დოკუმენტებში გვერდზე მოცემულია არტანუჯის სანჯაყში შემავალი ნაპიეების (რაიონების) და მათი სოფლების ჩამონათვალი მათზე დაკისრებული გადასახადების საერთო რაოდენობის აღნიშვნით. გადასახადები დათვლილია ახჩებში.

არტანუჯის ნაპიე ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილის არტანუჯის ილჩეს ტერიტორიას მოიცავს. მდინარე არტანუჯისწყლის ხეობას, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი არტანუჯი.

მეორე ნაპიე, ტაოსკარი ოსმალებმა ცოტა უფრო ადრე დაიპყრეს, ვიდრე არტანუჯი. იგი იმპერიას 1550 წელს, არზრუმის ბეგლარბეგმა ყარა-შაჰინ მუსტაფა ფაშამ დაუქვემდებარა. იგი თავიდან ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა, თუმცა, შემდგომში (ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი) მისი სიმცირის გამო არტანუჯის სანჯაყს შეუერთდა ცალკე ნაპიეს სახით. ამჟამად აღნიშნული ტერიტორია არზრუმის ილის ოლურის ილჩეს წარმოადგენს. საკუთრივ ტაოსკარი, რომელიც იმ დროს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, ამჟამად ამავე ილჩეს სოფელი ჩათაქსუა.

იშხნის ნაპიე ამჟამინდელი იუსუფელის ილჩეს ის ხეობაა, სადაც იშხნის მონასტერი და სოფელი იშხანი მდებარეობს.

რაც შეეხება მეოთხე ნაპიეს, მისი სახელწოდება ყველაზე ახლოს არის ტოპონიმი ქემხის'თან. ეს უკანასკნელი ოლთისის ერთ-ერთი სოფელია. XVI ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში ცალკე ქემხისის სანჯაყიც კი გვხვდება. აღნიშნული ტოპონიმი თურქ ისტორიკოსებს წაკითხული აქვთ როგორც „ჯახის“ ან „ჯაყის“, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეცდომაა. მაგრამ ეს ამ კონკრეტულ სიტუაციაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან, ჩვენი კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, ამჯერად მხოლოდ არტანუჯის განხილვით შემოვიფარგლებით.

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი დოკუმენტი კლარჯეთის სხვა ტერიტორიების შესახებ ამ ეტაპზე არ გავაჩნია, არტანუჯის ორი დავთარი, ვფიქრობთ, ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და იქ არსებულ მდგომარეობაზე როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით.

აღნიშნულ წყაროებში დაცულია ძალზე საინტერესო ცნობები, რომელიც დღემდე უცნობია ქართული და თურქული ისტორიოგრაფიისათვის. არტანუჯის, როგორც კლარჯეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის, ისტორიის შესწავლა, დიდად წაადგება საქართველოს ისტორიული ნაწილის, კლარჯეთის სრული ისტორიის თხრობას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც აღნიშნული დოკუმენტი გვაძლევს, გახლავთ ძველი ქართული ტოპონიმი. თურქეთის რესპუბლიკაში გარკვეული მიზეზების გამო ბოლო წლებში ძველი ტოპონიმები ახლით შეიცვალა. ეს კი განაპირობებს ძველი დასახელებების თანდათანობით გაქრობას. ამჟამად ისინი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს თუ ახსოვს. უფრო აღმოსავლეთით მდებარე ისტორიულ ქართულ პროვინციებში, როგორცაა ოლთისი და სპერი ეს პროცესი უკვე ბევრად შორსაა წასული და ქართული ტოპონიმების ძირითადი ნაწილი დავიწყებულია. ამ მხრივ მსგავსი ტიპის დოკუმენტების მნიშვნელობა უფრო იზრდება.

ქართულ და თურქულ ენებს შორის არსებული ფონეტიკური განსხვავებულობის გამო თურქულ ტრანსკრიფციაში ქართული ტოპონიმები იმდენად არის შეცვლილი, მათი პირვანდელი სახის აღდგენა მეტად რთულდება და ადგილის სახელების ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს. ამაში ფასდაუდებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციები „თურქეთის საქართველოში“, სადაც სხვა სამუშაოებთან ერთად ხდება ძველი ქართული ტოპონიმების ჩაწერა-გადარჩენა. სხვა რეგიონებთან ერთად ექსპედიციის წევრებმა არაერთგზის ვიმუშავეთ არტანუჯის ხეობაშიც, რაც დიდად დაგვცხმარა წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმების ამოკითხვაში.

რაიონებისა და სოფლების ჩამონათვალის შემდეგ დოკუმენტის მომდევნო გვერდებზე ჩადებულია ინფორმაცია მიწისმფლობელების (თავადების) და მიწისფლობელობის წესების შესახებ. აღწერილია სხვადასხვა ტიპის წლიური შემოსავლები, როგორც ეს მოკლე დავთრებში გვხვდება ხოლმე. მაგალითად: შემოსავალი სამღებროდან – წელიწადში 7000 ახჩა, შემოსავალი ნანადირევზე, მათ შორის, ფოცხვერის ტყავზე – წელიწადში 300 ახჩა და სხვა. დათვლილია სანჯაყბეგის (მირლივას), მეციხოვნეების, მათ შორის ციხისთავის, ჯარის მეთაურის, გადამზიდველების და სხვა სახელმწიფო მოხელეთა წლიური ანაზღაურება. როგორც ვხედავთ ყველაფერი დაბეგრულია და სახელმწიფო ხაზინის შევსებას ისახავს მიზნად.

ამას მოყვება ინფორმაცია სოფლების შესახებ: სოფლის სახელწოდება და მისი ადმინისტრაციული მდგომარეობა, ჩამოთვლილია კომლთა სია მათი მეთაურების დასახელებით, შემდეგ – გადასახადების სახეობები მათი რაოდენობის აღნიშვნით და ბოლოს, საერთო თანხა, რაც დაკისრებული იყო ამა თუ იმ სოფელზე. თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ არტანუჯის ხეობის სოფელ კლარჯეთის აღწერას ორივე დოკუმენტის მიხედვით. დოკუმენტების შედგენის თარიღებს შორის სამი ათწლეულიც არ არის გასული, თუმცა მათი მონაცემები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავებები პირდაპირი გამოძახილია ადგილზე არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე პროცესების, და იგი ბევრ დღემდე არსებულ კითხვაზე იძლევა პასუხს.

1574 წლის აღწერის დოკუმენტში:

სოფელი კლარჯეთი, ექვემდებარება არტანუჯს.

სულეიმან ძე იუსუფისა ბენაქი, მეჰმედ ძე აბდალლაჰისა ბენაქია, იუსუფ ძე აბდალლაჰისა ბენაქი, ფირვანა ძე აბდულასი ბენაქი, ანდრი მღვდელია ძე ლუბირგელისა, მინასა ძე გაბრიელისა მუჯერედი, მახარობელ ძმა მისი მუჯერედი, გაბრიელ ძე გუფირგელისა, ჯილანქურ ძე სიმანგელისა, გოგიჩა ძე მისი მუჯერედი, ელია ძმა მისი მუჯერედი, ალკაზარ ძმა მისი მუჯერედი, კარბელ ძე მახარობლისა, გოგიჩა ძე მისი მუჯერედი, იორდანე ძე ნოვრუზისა, იასონ ძე მისი მუჯერედი, დანა ძმა იორდანესი, ალკაზარ ძე ბარიმისა, დავით ძმა მისი მუჯერედი, იასონ ძე ბარიმისა, ზიმაკიე ძე იუსუსი, მარინზო ძე მისი მუჯერედი, იოსებ ძმა მისი მუჯერედი, კვირიკე ძე შაქარასი, მახარობელ ძე ბადრისა მუჯერედი, ლაზარე ძმა მისი მუჯერედი, ქიმროზ ძე ბირგისა, ზაქარ ძმა მისი მუჯერედი, ალკაზარ ძმა მეორე მუჯერედი, რემისე ძმა მისი, იასონ ძე მისი, რანსელ ძე ანდრიანისა, ალია ძმა მისი მუჯერედი, ქიმროს მღვდელი ძე ბაცასი, იორდანე ძე მისი, ავგაროზ ძე ბაცასი, როსტომ ძე მისი მუჯერედი, ალკაზარ ძმა მღვდლისა, სულთან ძე ჯაბასი, ალი სელამ ძმა მისი მუჯერედი, თეოდორ ძე ბარლისა, იბრაჰიმ ძე მისი მუჯერედი, ადგუბელ ძმა მისი მუჯერედი, იასონ ძმა მისი მუჯერედი, ალკაზარ ძე შაქარასი, ლაზარი ძმა მისი მუჯერედი, თავნეთ ძე მამიშასი, იორდანე ძმა მისი მუჯერედი, მახარობელ ძმა მისი მუჯერედი, გაბრიელ ძე ბარისა მუჯერედი, იორდანე ძე ანკასი მუჯერედი, როსტევან ძე ჯაბასი, იასონ ძე მისი, გაბრიელ ძმა მისი მუჯერედი, იასონ ძე ამირანისა, ბა ძმა მისი მუჯერედი, რუსაქ ძე სეზინათისა, სეზინათ ძე მისი მუჯერედი, გოგიჩა ძმა მისი მუჯერედი, ბადრი ძე მანილისა, ბარუნ ვარუთ ძე მისი, გოგიჩა ძე

მისი, ზაქარ ძე მისი, ლაზარი ძმა მისი, იორდანე ძმა მეორე, მამიშა ძე თავბეთისა, თეოდორ ძე მისი, ალკაზარ ძმა მამიშესი, მახარობელ ძე ჰაბილისა, თავნია ძე მისი მუჯერედი, რანსუნ ძმა მისი მუჯერედი, ალი სელამ ძმა მახარობლისა, იოსებ ძე გირგოლის, ლაზარი ძმა მისი, გოგიჩა ძმა მისი მუჯერედი, იასონ ძე ივანესი, ჯემშიდ ძმა მისი, ბილასუნ ძმა მეორე მუჯერედი, ლულა ძე მახარობლისა, გირგოლ ძმა მისი მუჯერედი, ლაზარი სიმეა მისი, ივანე ძე თანიშისა, ალინბარ ძმა მისი, ალი სელამ ძმა მისი მუჯერედი, გოგიჩა ძე როსტევეანისა, იასონ ძე ფილიჯისა, სილასუნ ძმა მისი, იოანე ძე ისფენდიარისა, იოსებ ძე ქირმანისა.

აქვეა მინაწერი:

მიწა ჰაჯი ჰუსეინისა 15 ქილიანი თვალით იძლევა გადასახადსა და წილს.

მიწა ახლოსაა ჭალასთან, იგი ნურ ალისა და გუნდაზის ხელთაა, იძლევა გადასახადსა და წილს.

მიწა ალავერდი ჰუსეინის ძისა, ჰუჯეთის თანახმად იძლევა გადასახადსა და წილს.

გადასახადთა საერთო რაოდენობა შეადგენს 16000 ახჩას.

ბენაქი და მუჯერედი – 72 ახჩა

ისფენჯი 85 - 2125

ხორბალი ქილა 600, ახჩა 4800

ქერი ქილა 600, ახჩა 2600

ფეტვი ქილა 100, ახჩა 600

ჭვავი ქილა 15, ახჩა 150

შირა უშრი 1053 ახჩა

ბამბა, მანი 15, 600 ახჩა

გადასახადი ბოსტანსა და ხილზე 230 ახჩა

გადასახადი იონჯასა და თივაზე 420 ახჩა

გადასახადი ფუტკარზე 320 ახჩა

გადასახადი თაფუსა და დემთიბანზე 530 ახჩა

გადასახადი ღორზე 120 ახჩა

გადასახადი იალალზე 200 ახჩა

მურახხასიეს გადასახადი 150 ახჩა

წისქვილი ერთი თვალი, სრული წლით 60 ახჩა

წისქვილი სამი თვალი 6 თვით

გადასახადი წვრილფეხა საქონელზე 520

ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 360.

მურად III-ის დროინდელ არტანუჯის აღწერაში:

სოფელი კლარჯეთი, ექვემდებარება არტანუჯს.

დავუდ აბდულა ბენაქი, მაჰმუდ ძე მისი ბენაქი, მეჰმედ აბდულა ბენაქი, ოსმან ძმა მუჯერესი, ბაირამ ძმა მისი მუჯერესი, ფირ ალი აბდულა ბენაქი, ისმაილ ძე ჯ, ველი ძმა მისი, დავუდ აბდულა, ალი აბდულა, ბაირამ ძე მისი მუჯერედი, ჰუსეინ ძმა მისი, ჰამზა აბდულა ბენაქი, აჰმედ ძე მისი ბენაქი, ჯემშიდ აბდულა ბენაქი, ისმაილ ძე მისი მუჯერედი, აჰმედ აბდულა ბენაქი, მეჰმედ აბდულა ბენაქი, იბრაჰიმ ძმა მისი მუჯერედი, ბაირამ აბდულა ბენაქი, მუსტაფა ძმა მისი

ბენაქი, ჰუსეინ აბდულა ბენაქი, რეჯებ მმა მისი მუჯერედი, ესად აბდულ ბენაქი, სულეიმან აბდულა ბენაქი, სეფერ აბდულა მუჯერედი, ჰუსეინ აბდულა მუჯერედი, ჰამზა აბდი მუჯერედი, მაჰმუდ აბდულა ბენაქი, ალიზაზ აბდულა ბენაქი, შირმარდ აბდულა ბენაქი, რეჯებ აბდულა ბენაქი, აჰმედ აბდულა ბენაქი, ჰასან აბდულა ბენაქი, სულეიმან აბდი ჯ, ელისა ძე ილიაზარისა, მღვდელი ანდაგილ ძე ქომერდილისა.

აქვეა მინაწერი:

მიწა ახლოსაა ჭალასთან, 15 ქილა შემოსავლით სულეიმან ბეგ მეჰმედის ძის მფლობელობაშია. შარიათის თანახმად აიღება უშირი.

გადასახადთა საერთო რაოდენობა შეადგენს 17000 ახჩას.

ბენაქი 22 – 396 ახჩა

მუჯერედი 13 – 78 ახჩა

ისფენჯი 2 – 50 ახჩა

ხორბალი ქილა 550, ახჩა 5500

ქერი ქილა 350, ახჩა 2450

ჭვავი ქილა 200, ახჩა 1200

შირა 1000 მანი - 4000 ახჩა

ბამზა, მანი 10, ღირებულება 400 ახჩა

გადასახადი ბოსტანსა და ხილზე 362 ახჩა

გადასახადი იალალზე 200 ახჩა

მურახხასიეს გადასახადი 4 ახჩა

გადასახადი წვრილფეხა საქონელზე 500 ახჩა

ბადჰავა და საპატარძლო გადასახადი 360

წისქვილი ერთი თვალი, 1 წლით 60 ახჩა

წისქვილი ორი თვალი 6 თვით 90 ახჩა.

პირველი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სოფელ კლარჯეთში 1574 წლისათვის 89 კომლი ცხოვრობს. ისფენჯისა და ბენაქის მიხედვით ვარკვევთ, რომ ამ კომლთაგან 85 ქრისტიანია, ხოლო 4 მუსლიმი. ისინი იხდიან ქრისტიან მოსახლეობაზე დაკისრებულ ისეთ გადასახადებსაც, როგორცაა, მურახხასიე, გამოსაღები ღორზე და ყურძნის წვენზე (საღვინე მასალაზე). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ ქრისტიანობას. წყაროში მოცემული გადასახადები - მუჯერედი და ბენაქი მიგვითითებს ამა თუ იმ სოფელში ისლამის მიმდევარ კომლთა რაოდენობას.

პირველი წყაროს შემთხვევაში, მამაკაცთა სახელების გათვალისწინებით ნათლად ჩანს, რომ სოფლის ქრისტიანული მოსახლეობა მთლიანად ეთნიკურად ქართველია. ზოგ შემთხვევებში ანალოგიური დაკვირვების საფუძველზე ირკვევა, რომ ზოგიერთ სოფელში თუ დასახლებულ პუნქტში სომეხი მოსახლეობაც ცხოვრობდა. მთლიანი დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენენ. მათი ერთ-ერთი კომპაქტური დასახლების ადგილია არტანუჯის ციხის რაბათი, როგორც ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი. სოფლებში ისინი ნაკლებად არიან. ანალოგიური სურათს შევხვდებით შემდგომშიც, როდესაც განვიხილავთ მათი განსახლების ადგილებს უკვე XIX ს-ში.

ფაქტია, რომ აღნიშნულ პერიოდში რეგიონში ისლამიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა ჯერ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანია. ისლამის მიმდევარნი

სახელებსაც მუსლიმურს ატარებენ და ასეთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, არ ჩანს კომლის წევრთა წარმომავლობა, ადგილობრივია იგი, რომელმაც ისლამი მიიღო, თუ ახლად ჩამოსახლებული უცხო ტომელი, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ადგილობრივია.

მეორე დოკუმენტში სურათი საკმაოდ განსხვავდება. ნათლად ჩანს, თუ მოკლე დროში რამდენად შეიცვალა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. მოსახლეობის რაოდენობა იმავე სოფელში შემცირებულია 37 კომლამდე. მათგან მხოლოდ 2 კომლია ქრისტიანული, დანარჩენი მუსლიმია.

დოკუმენტის მთლიანი ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ რელიგიური და დემოგრაფიული მდგომარეობა სხვა დასახლებებში ასე მკვეთრად არ შეცვლილა, თუმცა ტენდენცია ყველგან ანალოგიურია. საფიქრებელია, რომ სოფელ კლარჯეთში, როგორც საერთოდ კლარჯეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ და ცენტრალურ დასახლებულ პუნქტში რაღაც კონკრეტულ ფაქტს ჰქონდა ადგილი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ მოცემული პერიოდი რეგიონის ისტორიაში ერთ-ერთი ხშირი ომიანობის პერიოდია. ოსმალეთ-ირანს შორის პერიოდული პაუზებით მიმდინარე დაახლოებით საუკუნენახევრიან დაპირისპირებაში, 1578-1990 წწ. ომი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. როგორც სხვა შემთხვევებში, ამჯერადაც საომარ ასპარეზს სამცხე-საათაბაგო, ანუ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები წარმოადგენდა.

1578-1579 წწ. აღმოსავლეთის ლაშქრობაში ირანელთა დამარცხების შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშამ ახალციხის, ანუ ჩილდირის საფაშო დააარსა და ბეგლარბეგად გამუსლიმებული მანუჩარ ათაბაგი, იგივე მუსტაფა ფაშა დანიშნა. ამას მოჰყვა ადგილობრივთა დიდი წინააღმდეგობა. სიმონ ქართლის მეფე და მანუჩარ ათაბაგი შეუპოვრად იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ, ერთხანს წარმატებითაც. წინააღმდეგობა გრძელდებოდა მომდევნო პერიოდშიც, თუმცა ოსმალებმა თანდათანობით მაინც მოახერხეს ამ მხარის საბოლოო დამორჩილება. ცხადია, მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმაც პირდაპირ იქონიეს გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობაზე.

საყურადღებოა სოფელ კლარჯეთის მოსახლეობის რელიგიური სურათის ასეთი მკვეთრი ცვლადობა. პირველ წყაროში აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო მეორეში საპირისპირო სურათია. თუ დავაკვირდებით სახელთა ჩამონათვალს და გადასახადებს, გავარკვევთ, რომ 37 კომლიდან 35 მუსლიმია. მხოლოდ ორი კომლია ქრისტიანული, მათ შორის ერთი მღვდლის ოჯახია. სახელთა ჩამონათვალში მეორე სახელად უმეტეს შემთხვევაში მეორდება აბდულა. არცერთ შემთხვევაში არ არის მითითებული, რომ იგი მამის სახელია, როგორც წესისამებრ აღინიშნება ხოლმე. საფიქრებელია, რომ აღნიშნული სახელი ახლად რჯულშეცვლილებს ეწოდათ, როგორც „ალაჰის მონებს“ (აბდულა – ალაჰის მონას ნიშნავს). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პირები წარმოადგენენ პირველ თაობას, რომელმაც ისლამი მიიღო. ამის მტკიცება უფრო დამაჯერებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ადრინდელი დავთრის ინფორმაციასაც.

გარდა ამისა, დოკუმენტში იკვეთება სოციალურ-ეკონომიკური სურათი. მოცემული გადასახადებიდან ნათლად ჩანს, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოჰყავდათ რეგიონში. როგორ იყო განვითარებული მეცხოველეობა, მიწათმოქმედება და სხვა. ჩანს სოციალური ურთიერთობებიც.

მაღალგანვითარებულ მევენახეობაზე მიუთითებს დიდი რაოდენობით დამოწმებული გადასახადი ყურძნის წვენზე – შირე. ივანე ჯავახიშვილი ს.ტიმოფეევისა და ნ.მარის ჩანაწერებზე დაყრდნობით შავშეთ-კლარჯეთში საღვინე და არასაღვინე 24 ჯიშს ჩამოთვლის. ექსპედიციების დროს, საველე სამუშაოებზეც, ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად აღნიშნავდა ძველად განვითარებული მევენახეობის შესახებ. უფრო მეტიც, მდინარე კარჩხალას ხეობაში, მთის ფერდობებზე ახლაც არის მწკვრივებად შემორჩენილი ნავენახარი, ვაზის ნაკვალევი. დროთა განმავლობაში, რეგიონში ისლამის განვითარებასთან ერთად მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც მეურნეობა მთლიანად მოისპო. ყურძენი ისტორიულ კლარჯეთში მცირე რაოდენობით ახლაც მოყავთ, თუმცა მას ადრინდელი დანიშნულება აღარ აქვს.

ფართოდ არის გავრცელებული მარცვლოვანი კულტურებიც: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის გავრცელებულია ბამბაც, რაც იშვიათი დამახასიათებელია ჩვენი რეგიონისთვის.

ხილი და ბოსტნეული ერთადაა დაბეგრული, ცალკეული სახეობები არ ჩანს. ცალკეა დაბეგრული კაკალი.

ფართოდ გავრცელებულია მეცხოველეობაც. ცალცალკე იბეგრებოდა ღორი და წვრილფეხა საქონელი. მსხვილფეხა საქონელი გადასახადებს არ ექვემდებარებოდა. განვითარებულ მეცხოველეობაზე მეტყველებს აგრეთვე გადასახადები დაწესებული იალაღებსა და ყიშლაღებზე. თუმცა მეღორეობაც, როგორც მეურნეობა ისლამის გავრცელებამ მოსპო.

განვითარებულია მეფუტკრეობაც. დათვლილი და დაბეგრულია ყოველი თვალი წისქვილი .

დოკუმენტებში არაერთი მინაწერია, რომელიც მიმდინარე პროცესებს, ძირითადად ადმინისტრაციულ ცვლილებებს ასახავს.

წარმოგიდგენთ ცხრილს, სადაც სოფლების მიხედვით შეტანილია ორივე დავთარში დაფიქსირებული დემოგრაფიული და რელიგიური სურათი. მისი ანალიზი დაგვეხმარება აღვადგინოთ აღნიშნულ პერიოდში რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ორივე დავთრის მიხედვით XVI ს-ის 70-იან და 90-იან წლებში, ანუ მურად III-ის მმართველობის დროს, არტანუჯის ლივას, რომელიც მოიცავს მდინარე არტანუჯის ხეობას მიმდებარე მცირე ხეობებითურთ, ექვემდებარება 58 სოფელს ორ დოკუმენტს შორის ამ კუთხით განსხვავება თითქმის არ არის, რაც ცხრილშიც ნათლად ჩანს.

№	სოფლის დასახელება	1573/4 წლის „გურჯისტანის ვილაეთის ვრცელ დაგთარში“			მურად III-ის დროინდელი „არტანუჯის ლივის ვრცელ დაგთარში“		
		კომლთა რაოდენობა	ქრისტიანული	მუსლიმური	კომლთა რაოდენობა	ქრისტიანული	მუსლიმური
1	არტანუჯის ციხის რაბათი	71	55	16	43	43	0
2	ბიჯია (ბიჯა)	41	41	0	14	14	0
3	უნისხევი	25	21	4	13	10	3
4	ბაცა	65	65	0	26	20	6
5	ახარშია	27	27	0	23	23	0
6	მეწაგილი	20	20	0	21	21	0
7	ოპიზჭალა	21	21	0	11	10	1
8	ხერთვისი	36	36	0	25	22	3
9	ზიკლოლეთი	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
10	დგერმუნი (დიაგარმონი)	12	12	0	10	8	2
11	ახიზა ¹	24	24	0	16	12	4
12	ქენარავორი	17	17	0	8	6	2
13	ანჩი	44	44	0	26	24	0
14	ანკორი ²	27	27	0	14	14	0
15	უნგორაქერდი	22	22	0	12	12	0
16	ანაკერდი	81	81	0	22	22	0
17	ჯულო	6	6	0	დაცლილია	-	-
18	უნქოთი	29	29	0	23	22	1
19	სახრე	46	46	0	40	33	7
20	ხემოვორეთი	15	15	0	6	6	0
21	ციხა	11	11	0	7	7	0
22	ხარაული	28	28	0	23	18	5
23	უსაქერდი	12	12	0	არ ფიქსირდება	-	-
24	ვართხელი	24	24	0	24	15 (18) ³	6
25	შავგულარი	20	18	2	7	4	3
26	ჩილდირი (ჩრდილი) ⁴	31	31	0	20	8 (16)	4
27	დესლუსაგარა (?)	19	17	2	20	9	11

¹ მურად III-ის დროინდელ დაგთარში მეთერთმეტე სოფლად ახიზას ნაცვლად რეგისტრირებულია მერკინი და ორივე შემთხვევაში მითითებულია, რომ „ახლოსა ვალისომანთან და ახიზაგერესთან“. ფაქტია, რომ ერთი და იგივე სოფელზეა საუბარი. მერკინი შესაძლებელია ახიზას უბანიც იყოს. ხიზა არტანუჯის ხეობის შესასვლელში, ჭოროხისპირას მდებარეობს და სრულიად შესაძლებელია, როგორც სანჯაყებს შორის სასაზღვრო სოფელი, ამ დროისათვის ორადაც იყოს გაყოფილი. აქ მოტანილ მონაცემებსაც ამ პირობით ვადარებთ ერთმანეთს. ცხრილში 30-ედ დამოწმებული ქონბურუთიც სოფელ ახიზას ახლანდელი უბანი უნდა იყოს.

² სოფლის სახელწოდებას მოცემული ფორმით ხედვებით სამეცნიერო ლიტერატურაშიც და ადგილობრივ მოსახლეობაც ასე გამოთქვამს. თუმცა დოკუმენტში იკითხება როგორც „ანჩორა“, რაც შესაძლებელია, ტოპონიმის ადრინდელ ფორმას წარმოადგენდეს.

³ დოკუმენტში ციფრები შეცდომით უნდა იყოს მითითებული. კომლთა რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ 15-ის მაგივრად 18 უნდა იყოს. ასევეა ჩრდილშიც.

⁴ უღერადობით ძალზე წააგავს სახელწოდებას „ჭიდილი“. ამ სახელწოდების სოფელი არტანუჯში ცნობილია (ახ. Bağlica), დოკუმენტში აშკარად იკითხება ჩილდირი. შესაძლებელია, ის დროთა განმავლობაში შეიცვალა.

28	გორაშეთი ⁵	13	13	0	6	4	2
29	პეტოვანი	20	20	0	13	7	6
30	ქონბურუთი	6	4	2	8	8	0
31	არავეთი	6	4	2	3	3	0
32	ხავთი	22	22	0	21	17	4
33	ჯარა	6	6	0	6	6	0
34	თავზორი	დაცლილია	-	-	1	1	0
35	ნორგიალი	18	17	1	18	16	2
36	ვარტალია	2	0	2	დაცლილია	-	-
37	უსტამელი	18	17	1	12	12	0
38	მუქერი	28	28	0	31	23	8
39	კარსნია	34	34	0	30	30	0
40	კაპტახორი	70	64	6	25	25	0
41	ჯოლა	8	8	0	10	9	1
42	ორუქი	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
43	ქოთია (კოტია)	21	19	2	15	15	0
44	ორთ(ვი)ზი	23	22	1	8	6	2
45	ტანძოთი	84	77	7	65	47	18
46	გუმუშხანე	55	55	0	69	64	5
47	კლარჯეთი	89	85	4	37	2	37
48	კონტრომი	7	7	0	7	7	0
49	გულეშენი	14	14	0	13	10	3
50	მაწალახეთი	10	10	0	16	16	0
51	არდუნი (არუნნი)	4	4	0	3	2	1
52	ხევი	12	6	6	დაცლილია	-	-
53	სამწყარი	66	66	0	54	54	0
54	ზადარია (ზექერია)	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
55	სადირსე	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
56	ნორი	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
57	უსოთი	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
58	ქურდევანი	დაცლილია	-	-	დაცლილია	-	-
ჯამი		1410	1352	58	924	778	146

დოკუმენტები მნიშვნელოვანია ასევე როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი. როგორც ვხედავთ, 1574 წელს არტანუჯის ხეობის 8 სოფელი, როგორც ჩანს ავბედითობის გამო მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან. ამ მხრივ მომდევნო დოკუმენტის მიხედვით, ექვვარეშეა, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მდგომარეობა გაუარესებულია და კიდევ სამი სოფელი დარჩა მოსახლეობების გამო.

მთლიანად არტანუჯში 1574 წლისთვის 1410 კომლი ცხოვრობს, მათ შორის 1352 ქრისტიანულია, მხოლოდ 58 კომლია მუსლიმური. მოკლე ხანში მდგომარეობა მკვეთრად მცირდება კომლთა

⁵ ანკორას მსგავსად, ეს გორაშეთის ფორმით არის ცნობილი, თუმცა დოკუმენტში იკითხება როგორც „გორაშეთი“.

რაოდენობა 924-ს უტოლდება, საიდანაც 778 ქრისტიანულია და 146 მუსლიმური. როგორც ვხედავთ მოსახლეობის შემცირებასთან ერთად მძლავრობს ისლამიზაციის პროცესიც. თუ 1574 წელს მოსახლეობის მხოლოდ 4%-ია გამუსლიმებული, არაუმეტეს სამი ათეული წლის შემდეგ ეს ციფრი უკვე თითქმის 16%-მდეა გაზრდილი.

მსგავს შემთხვევებში მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისათვის სამეცნიერო პრაქტიკაში კომლის წევრთა საშუალო რაოდენობად მიჩნეულია საშუალოდ 5.5 ადამიანი. მოცემულ კომლთა რიცხვში მხოლოდ გადასახადებით დაბეგრული მოსახლეობა შედის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსახლეობის რაოდენობის უფრო ზუსტად განსაზღვრისათვის მას უნდა დაემატოს ხალხის ის კატეგორიაც, რომელიც “დავთარში” არ აღირიცხებოდა. ასეთები არიან ფეოდალთა და მიწის მეპატრონეთა ოჯახები, სახელმწიფო მოხელეები და სხვ. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ მოსახლეობის საერთო რაოდენობა. ამ პრაქტიკის გათვალისწინებით გამოდის, რომ 1574 წელს არტანუჯის ხეობაში დაახლოებით 8 ათასი კაცი ცხოვრობდა, ოდნავ მოგვიანებით კი მათი რიცხვი თითქმის 5 ათასამდე დაეცა.

ამრიგად, აშკარაა რომ ოსმალეთის იმპერიის ქართულ ტერიტორიებზე ისლამიზაციის პროცესი ახალი დაწყებულია. პროცესი, რომელიც, ჩვენი აზრით, ზოგიერთ რეგიონში XIX ს-მდე მიმდინარეობდა. XIX ს-ის შუა ხანებში კი ჩანს, რომ ქართულ ტერიტორიებზე მართლმადიდებლობა მთლიანად დაკარგულია.